

The image shows a decorative title page from an old book. The title 'GOD'S GRACE' is written in large, stylized, black, serif capital letters. Each letter is intricately decorated with floral and foliate motifs. The 'G' on the left has a crossbar with a small diamond-shaped ornament. The 'D's have decorative loops at the top. The 'S' is a long, flowing curve. The 'E's have decorative loops at the bottom. The entire title is set against a light-colored background with a subtle watermark-like pattern of smaller text.

საუღებლ-გეირაო ლიტერატურული და მსატერიალითი გაზეთი.

16 ടൈപ്പിംഗ് വാല്സ്

ગામનુંદાસ

JG 7

1886 ଜୁଲାଇ.

ფისი „ოქტომ“-სა წლით სეთი (5) მანეთი, ხახვარ წლით სამი (3) მანეთი, სხვა გედით ხელის მა-
წერა ას მაღლება. ცალკე ხომური „ოქტომ“-სა დარს სამი შეური. სეჭის მოწერა მიიღება: თბილისში
„ოქტომ“-ს ცედენისაში და ჭუთასში მდ. ჭილაძების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთავეს დრუები:
თეატრის. Въ редакцию „Театръ“.

საუღელ-გვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი განცემი

„ତେବେଳୀ“

მისამართი სელის მოზე 1886 წლისათვის

(ବ୍ୟାଙ୍ଗିନ୍ୟାଦି ମହାରାଜ)

პროგრამა და სიერცე გაზეთი, „ოქანი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, გვიჩვით

ଓঁস বি „তমাতিরী“—সা: ভিজত কল্পনার প্রচলণে, অশ্রুতপুরু দক্ষিণে কেড়েন মোহীরতাত্ত্বিক লিখন সৃষ্টি (৫) হচ্ছে, নিচের ভিজত—সামা (৩) মোহীতা। কেবল দক্ষিণ কেড়েন মোহীর এই মোহীজুন্দ।

የሰኔ 1886 ዓመት ስራውን ተከተለዋል ይመሱ ነውም መኖርና የሚከተሉ የሚጠቻል.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: თბილის. Въ редакцию „Театръ“.

ପାରିତ୍ୟାଳୀ ତଥାତିରି

ପ୍ରକାଶକ, 16 ଟାଇପରିକ୍ସଲ୍ସ

διαβούλος

ପ୍ରକାଶନକାଳ

8. 3. ၂၀၁၂၊ ၂၀၁၃

ქართული დრამატიკული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

II

თ ა მ ა ს ს ა ტ ა ნ ი შ ე ვ ლ ი

ԱԾՔՆՐՈՂԱԼՈՒ ՀՐԱՄԱ 5 ԹԵՇՎԻԼ. Տ. ԹԵՍԵԽԱ

ଓইନ୍ଦ୍ରାଜିତ ଶହୀ ପାଇନାମିତିକ ମୁଖ୍ୟ

ବିଷୟାବଳୀ । ୧ ପିଲ୍ଲ ପିଲ୍ଲ, ୨ ବସାରୁଣ୍ଡିଆ

ପ୍ରକାଶକଳ

Sādāt

ଲାକ୍ଷଣ୍ୟବିଦୀ ୮ ସାହଚର୍ତ୍ତର.

ଶୁଣନ୍ତରାଳୀ ଗାଁତିନୀ

ମୋଟଖାତାର୍ ୬. ଧୀର୍ଘନିଃ-ଚାଗାରଳୀକୁ ଦେଖିଫିଲିଥିଲି
ହିନ୍ଦୁମାଦ୍ଵାରା ପ୍ରକାଶିତ, „ବାନ୍ଧମା“ କୁମର୍ଦ୍ଦିଳା ୩-୯ ମେଲ୍‌ମେଡ. ଲା
ଓଟକ୍‌ସ ବ୍ୟକ୍ତାତାର ତଥା ୧. ଚାଗାରଳୀକୁ ଲା ମେଲ୍‌ମେଡ. «ଭେ-

და და შეილი, ისტორიული ხრონიკა 1-ს სურათად
თხჩ. ი. ჰავქავაძისა. საერთოთ, როგორც წინათაც
მოვიხსენიეთ, ა. ცაგარლის პიესებზედ ბაასი და მსჯე-
ლობა ტყუილი დროს დაკარგვაა, რადგანაც მაცქე-
რალი ნათლათა ხედავს, რომ აზრი ამ შემთხვევაში
მეტად პასივურს მონაშილეობას იღებს და მხოლოდ
ყოველივე თეატრალური ხელოვნება სიტუაციის ქა-
ნაობას და ოხენწჯობას არის ნაკვალები.

8 ავტორის აზრით თეატრალური ხელოვნების
ღირსება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ სცენა-
ზედ უწმაწური სიტყვები იღაპარა კონკრეტურა
რებმა და ხალხმა იცინოს; დიახ, ბატონო, კარ-
გია შეზავებული ხუმრობა, მაგრამ გადაჭარბებუ-
ლი არა გარდა-რა.

საღ გაგონილა, საღ ამოუკითხავ ან რომელს
სცენაზედ უნახავს, რომ ერთმანეთს დედ მამის გორ-
ხანას აგინებდნენ და სხვა ბევრს ამ გვარს?.. მაგრამ
უკაცრავათ, სრულიად დაგვავიწყდა, რომ «ივერიის»
კრიტიკისთვის მთავარმა ბ. ალექსანდრიძემ ამ გვარ
საგნებზედ შეჯელობა აგვიკრძალა, რადგანაც ლირ-
სეულს პირად მხოლოდ თავის ცარიელი თავი
მიიღო, რომელმაც კაცობრიობას ეხლა აუხილა თვა-
ლი და გააცნო, თუ როგორ უნდა კრიტიკის წერა.
დარწმუნებული ვართ, რომ თვითონ წარჩინებუ-
ლი კრიტიკისთვის: ბერნე, მოკალეი, ბელინსკი, პისა-
რევი, ლობრივლიუბოვი და სხვა ბევრი, დაბლა თავს
მოუხერიან, როგორც მთელი ლიტერატურის წარმო-
მადგენელს პირს, რომელსაც ისე ესმის ეს საგანი, რო-
გორც ყვავს სულის ცხონებისა. მაგრამ „მახლას“
ამის მეტი აღარა დაგვრჩენია-რა: აი ბ. ალექსანდრი-
ძეს საქმეც ეგრეა, მაგრამ გამოტეხით უნდა გითხრათ,
დიდათა ეწუხეართ, რომ ბ. ალექსანდრიძის რღმა უძი-
რო კრიტიკული შეხედულობა არა გვაქვს, რომ
«ხანუმა» გავარჩიოთ და ჯეროვნათ დავაუსოთ, მაგ-
რამ ამ გენიოს კრიტიკოს ერთი ბედნიერება სჭირს,
რომ სხვის აზრს სამჯერ იმეორებს, აი ეს შემთხვევა
უფრო მაღლა აყენებს და ერთი ათათ აძლიერებს
მაში სიმწნევეს.

რაიცა ამ კომედიაში მოთამაშეთ შეეხება
რიგიანათ შეძსრულეს თავის როლები, ნ. გაბუნია-
ცაგარლისამ და ვ. აბაშიძემ, მხოლო რაიცა დანარ-
ჩენებს შეეხება ცოტა არ იყო კოჭლობდენ. არ ვი-
ციო რა მიზეზი იყო, რომ მ. ხაფუაროვი-აბაშიძისა,
თავისებურათ გულიანათ ვერ თამაშობდა ცქრიალა
ქალის როლსა, რაღაცა გულ-გრილობა ეტყობოდა,
თუმცა კი არა დაუშევებია რა.

ၫ။ ပာဂါရီလဲ (မိပုကို) ဖြစ် မာနာရ ဆင်ကဲ မြန်မာစွဲရှိခြင်း
သို့ပေါ်လောက် လူ ဖျော် လာပဲရှုပဲတော် လောက် လာဒါန္ထု-
ဘောလာ လူ စိတ်ဖျော်ပဲ ဤတိသိခိုက်စွဲ ဒေဝါယာ အပါမည်။

მეორე წარმოადგინეს „დედა და შეიძლი“, მაგრამ ჩვენის აზრით ამ გვარი სურათების დადგმა სრულიად უადგილოა, რადგანაც სცენიკურს კანონებს სრულიად მოკლებულია და მაინცა-და-მაინც თუ დაუგეს, ისეთმა პირებმა უნდა ითამაშონ, რომ რიგინათ და გრძნობიერათ კითხვა შეეძლოთ და არა სიმღერით ლაპარაკი, როგორც 6. გაბუნია-ცაგარლისა და 3. ალექსიევ-მესხიევმა, რომლებიც ლექსის კითხვის კილოს სრულიად მოკლებული ყოფილან და ამას, რომ ზედ დაუმატოთ 8. მესხიევის როლის უსწავლელობა, ერთი სიტყვით სრულიად მანივჯობა გამოდიოდა.

၁၀၂

პ. 3. მირიანულის ჯერილის გავო.

ამ უკანასკნელ დროში, როგორც ბ. ვ. მი-
რიანაშვილი შენიშვნაეს, ჩვენდა საუბედუროდ თითქ-
მის ყოველ კუთხეებში ჩვენის ქვეყნისა ვრცელდე-
ბიან უმნიშვნელო სიმღერები, როგორც ნათარგმნე-
ბი, აგრეთვე ორგინალებიც, სახის შეუცვლელად. მი-
ზები ამა მოვლენისა ადვილი ასახსნელია: პირველი
მიზეზი არის რომ ზოგიერთს ჩვენ პირტებს მოდათ მიუ-
ლიათ თარგმნა უმნიშვნელო სიმღერებისა სხვა-და-სხვა
ენებიდგან. ჩვენ ვერ აგვისტონია მიზეზი ამ უკანასკნელთ
მიმართულებისა. ნუ თუ ესენი ჩვენს საკუთარს სიმღე-
რებს და კილოებს წუნს სდებენ? თუ ამ თვალით უყუ-
რებენ ბმ. მთარგმნელები ჩვენს მნიშვნელობით და ხე-
ლოენებით საესე სიმღერებს, უკუველია ისინი სცდე-
ბაან. ჩვენ არ გვინდა ამით ვსთქვათ, რომ სიმღერები
არ უნდა ითარგმნებოდენ, არა სათარგმნი სიმღერე-
ბის შექენაც კარგი განძია, მაგრამ ამ შემთხვევაში
მთარგმნელმა უნდა ამოირჩიოს კარგი ხელოვნური
სიმღერა და უნდა ეცადოს, რომ გადააკეთოს ჩვენს
კილოზე, ერთი სიტყვით უნდა დააყენოს ჩვენს ნია-
დაგზე. პოველ შემთხვევაში უნდა ვსთქვათ, რომ
სხვა ენებიდგან ხალხური სიმღერების თარგმნაზე უკე-
თესი იქნებოდა მთარგმნელთ (სხვასაც არ აწყენს)
შეძლებისადაგარად ჩვენი ძველი ხალხური სიმღერე-
ბის მოგროვებისათვის მიეყოთ ხელი და ცოტ-ცო-
ტათ ჩვენი დრო გამოშვებითი გამოცემების შემწეო-
ბით განეხლად ძველი სიმღერები. ჩვენ დარწმუნებულ-

ლი ვართ, რომ არც ერთი რედაქტია უარს არ ეტყვის მსურველთ. ამ ნაირად ისინი დიდ სამსახურს გაუწევენ მკითხველ საზოგადოებას, მით რომ განაახლებენ იმ მნიშვნელობით საესე სიმღერებს, რომელიც დღე-დღეზე ჰქონიან სხვა-და-სხვა მიზეზების გამო. საზოგადოდ ჩვენს ქვეყანაში თითქმის უყურადღებოდ არიან მიღდებულნი ხალხური სიმღერები, როდესაც სხვა ქვეყნებში ყოველ ძალ-ღონებს ხმარობენ მათი მოგროებისთვის. ხალხური სიმღერებს არ უნდა უყურებდეთ მარტო, როგორც გასართობ საგანს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ, როგორც საზოგადოდ ლიტერატურაში, ეგრეთვე ისტორიაში. ამ მნიშვნელობის შესახებ ქვემო ვიტყვით ორიოდ სიტყვას.

ხალხური სიმღერებში მოიპოვება უხვი მასალა განსასაზღვრელად ხალხის ჩევეულებისა, მიმართულებისა ერთმანეთისაღმი, მიმართულებისა გარემოცული საგნებისაღმი, მისი წარსული და აწყვი. იმათში გამოიხატება ცხოვრება: მხიარული, საზოგადოებრივი და საოჯახო. სიმღერას აქვს თვალსაჩინო თანდართულება ხალხის ცხოვრებასთან; ისინი იყენებენ ყოველ მხარეს ხალხური ცხოვრებისა. ხალხს უყვარს სიმღერა, როგორც ნამდვილი დამცველი ნაციონალური გარდომცემისა. სიმღერებში აღიხატებიან ნამდვილი შემთხვევები ძველი ხალხური ცხოვრებიდან; იმათში დიდათ თუ ცოტათ განისაზღვრებიან ადგილი და დრო იმა შემთხვევისა, რომელიც შეადგენს მათ საგანს. სიმღირები იბადებიან იმისთანა წრეში, სადაც იდგმის ფესვს საზოგადოებრივი ცხოვრება. სიმღერები შინაარსით განიყოფებიან ორ დიდ ნაწილად მიუხედველად მისი გარეგანი ფორმისა: სამღერები საზოგადო და საოჯახო. საზოგადო სიმღერას უჭირავს ადგილი უფრო ფართო წრეში, ვიდრე საოჯახოს; იგი იყენებს ინტერესს არა ერთი ან ორი პირისა, არამედ მთელი საზოგადოებისა, სადაც იგი იმღერება. სიმღერებში ვპოვებთ მრავალ მასალებს ისტორიისათვის და ხალხური მოთვლოვისთვის. ამ ნაირი მნიშვნელობებს ჩვენი ხალხური სიმღერები მოკლებულნი არ არიან და ამისთვის იმათი მოგროება და გამეორება უფრო სასარგებლოა ვიღრე უმნიშვნელო სიმღერების თარგმა. ამით ვათავებ ამ წერილს და შემდეგ წერილებში შეძლებისა-დაგარად ვეღდებით „თეატრის“ შემწერით მოველაპარაკოთ პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას ზოგიერთი ხალხური სიმღერებზე.

• საღაება.

ისტორიული სურათები ურთისებული გენერაციები

თხინი დღე აკლდა ნოემბრის იდის დასრულებას (10 ნოემბრის 675 წ. რომის ქარონიკოთი) პუბლი სერვილის და პპი კლავდის კონსულობის დროს, მზის ამოსვლამდინვე რომის ხალხი დიდ მოძრაობაში იყო, რომელიც ყველა კუთხიდგან დიდის ცირკისაკენ მიემურებოდენ.

ვიწრო, ბრუდე და მციდროთ მცხოვრებელს ხალხს ესკვილია და სუბორის ქუჩაში, რომელზედაც მეტი ნაწილი უბრალო ხალხი ცხოვრობდენ, ყოველთვის მოდიოდენ დიდის დასობით სხვა-და-სხვა წილდების და შეძლების ხალხი გაიფინებოდა ხოლმე ამ ქუჩაზედ, რომელიც პირ-და-პირ ცირკისაკენ მიდიოდა: მოქალაქენი, მუშები, დროებითი დათხოვნილი მონები, გლადიატორები, რომლებიც დაჭრილი და დახერეტილები იყენენ, გლახაცი, ძევლი მხედარი, რომლებმაც დაიპყრეს აზია, აფრიკა და კიმერები, მდაბალი წილების დედა-კაცები. მოთამაშენი და პატარა ბაჟშები, რომლებიც ამხიარულებდენ თავიანთ ხმაურობით ხალხს და ცირკისაკენ მიემურებოდენ. ამ ხალხის სიმხიარულის დაშლა თვითონ ცასაც ვერ შეეძლო, რომელიც რაღაცა შექმუხნილი სახით მის ავტორით მოლხინე ხალხს ემუქრებოდა. მს ცირკი ააშენა ტარკიინი უფროსმა და შემდეგ როცა აპანამ შეიპყრო, გაალამაზა და გააღიდა ტარკიინი აშაკმა მას შემდეგ დაერქო დიდი ცირკი, სხვა ცირკების განასხვავებლად, რომელიც ააგო პ. ფლმინიემ და იმისავე სახელი დაერქო.

მს ცირკი მურციას ხეობაზედ მდებარეობდა, პლანტინს და ავენტის გორების შუა, ისეთი შშევნიერი და დიდი არ იყო, როგორც შეპფერობდა ამ ჩვენგან აღწერილს ეპოქას, მხოლოდ იული ცეზარის და აკტავიან ავგუსტის დროს ამაღლდა და გამშევნიერდა. მაინცა-და-მაინც ეს ცირკი დიდ შენობას წარმოადგნდა: სიგძით 290 ფუტი და სიგანე 990 ფუტი, რომელშიაც 150,000 მაცქერალი ხალვათათ თავსდებოდა.

მს უზარ-მაზარი შენობა ყოველთვის სამსე იყო ხოლმე ხალხით. აქ მოდიოდენ არამც თუ მარტო პლებიები, არამედ პატრიოტებიც, ერთი სიტყვით ყველა ის პირი, რომლებსაც უყვართ ქეიფი და სამხიარულო სანახავები.

რა იზიდავდა ამოდენა მაყურებელთ ამ ჩვენგან აწერილს დღეს ცირკში?

ლუციი კარნევლი, სულლა ბელიერი, რომელიც თავისარსა სცენდა რომს და უმფარველობდა იტალიას, უკველია უნდოდათ ერთი წუთით დაევიზუ-

ნათ ის წვალება და მუღმივი ტანჯვა, რომელიც ბა-
ცონების წყალობით თავს ეცემოდათ. რამდენიმე კვი-
რის წინათ უბრძანა, გამოეცხადებინათ სამი ღლე ზელი-
ზედ სადილები და სიმხიარულო საყურებელნი რომაე-
ლი ხალხისათვის. ძეირაძალზედ რომაელი პლებიები
მარსის მინდორზედ სუფრაზედ ისხდნენ, რომელიც
მკაცრი დიკტატობის ბრძანებით იყო მომზადებული.
დიდის სიმხიარულით და ხმაურობით გაათევა ხალხმა
ეს ღამე. ბულ-უხვად არიგებდა საჩუქრებს ზოგს საჭ-
მელს, ზოგს მშვენიერს სხვა-და-სხვა გვარს სასმე-
ლებს.

სულლას ბედოვლათაბა იქამდინ მივიღა, რომ
ამ უქმების განმამაელობაში, რომელიც იყო ჰერკუ-
ლესის სადღესასწაულოთ გამართული, მეათედი ნაწი-
ლი თავის ქონების სამლოთო მოიტანა. აუარებელს
საჭმელს ჰერიდენ და თითქმის ორმოცის წლის შე-
ნახულს სასმელებს მდინარეში აქცევდენ. ამ ნაირათ
სულლა მარცხენა ხელით ურიგებდა რომაელებს იმ
სიმდიდრის ნაწილს, რომელიც იმათვე წაართვა თა-
ვის მხეცურის უფლებით. პირის სახეზედ სიმხიარულე
ეტყობოდა, მაგრამ გული კი მოშურნეობითა ქონდა
აღვესებული და სცდილობდა დაეფარა.

შუადღე ახლოედებოდა. ცხელი შზის სხივები
ოქროს ფერათა ფერავდენ გორებს, ტაზრებს და უზარ-
მაზარს პატრიცების პალატებს, რომლებიც მარმარი-
ლოთი იყვნენ აგებულები; გუნდ-გუნდათ იკრიფებო-
დენ ხალხი და მზეზედ თბებოდენ, რადგანაც ცოტა
არ იყო ცივოდა ამ ცირკში.

ორი ათასამდის ხალხი მოგროვდა ცირკში, რომ
დასწრებოდენ რომაელ გლადიატორების ბრძოლას
თუ მხეცებიეთ როგორ დახოცენენ ერთმანეთს.
ამ მოედანზედ პირველი ადგილი ეკავათ, პატრი-
ცებს, ბანკირებს და მდიდართ უცხო ქვეყნიდ-
გან მოსულო პირთ, რომლებიც გუნდ გუნდათ მოგ-
როვდებოდენ ხოლმე იტალიაში, მესამე სკამეიკაზედ,
ცრიუმფალნი ალაყაფის კარების ახლო, გასცერაკე-
ბული მშვენიერი მატრინა იჯდა. მაღალი, წარმო-
სადევი ტანისა, განიერი და მშვენიერი მხრებიანი. პირ-
ველსავე შეხედვაზედ გეგონებოდათ, რომ ნამდევილი
რომაელი იყო და რომაელის სისხლი სცემდა იმის
ძარღებში. ზომიერი პირის მოყვანილობა, დიდი ფარ-
თო შუბლი, ამის შესაფერი სწორე ცხვირი, პატარა
პირი, რომლის ტუჩები გეგონებოდა კუცნის წყურ-
ვილით არიან საესწი, შავი ცოცხალი თვალები, ყო-
ველივე ეს ერთათ ამშვენებდა ამ ქმნილებას; შავი
გიშერისავით მხრებზედ ეყარა სქელი და გძელი ხუ-
ჭუჭი თმები, რომელსაც ამშვენებდენ სხვა-და-სხვა
გვარი ძეირფასი ნიეთები. იმის ტანსაცმელი აბრაშუ-

მის და ძეირფასი ხავერდისგან იყო შემზებული ისე საკურეველათ ამშვენებდა იმის შოშტენილს
წარმოსადევ ტანს.

მს მდიდარი და მშვენიერი ქალი, ჯერ ციდა-
ათის წლისა არ იყო. იმს ეძხდნენ ვალერიის. ის
იყო ვალერია მესალის ქალი და ლეიძლი და ძეირტა
ზორტეზიასი. ზორტეზი იყო გამოჩენილი ორატო-
რი, რომელიც ციცერონს არ ჩამოურჩებოდა. შემდევ-
ში კონსულობა მიიღო (685 წ.) ცოტა ხნის შემდევ
რომელი დროც ჩვენ ზევით აესწერეთ. მს ქალი გა-
შორდა თავის ქმარს, რადგანაც კაცობრიული სქესი
არა ჰქონდა, თუმცა ამ მიზეზით გაშორდა თავის
ქმარს, მაგრამ მიზანი კი სრულიად სხვა იყო და
მთელს რომში იმის ცუდს ქცევაზედ ლაპარაკობდენ,
მაგრამ ამ მიზეზმა დიდი შეება მისცა და შეუმსუბუქა
დანაშაულობა. იქვე ვალერიას გვერდზედ იჯდა ტვინ-
ტი ზორტეზი, რომელმაც თავის მჭრე მეტყველე-
ბით მთელი როში გამციფრა. ტვინტი ზორტენი ჯერ
სრული ოცდა-ექვესის წლისა არ იყო. ის დიდი ხანი
სწავლობდა ორატორობას; ყოველივე იმის სიტყვა
რაღაცა ჰარმონიას მოაგონებდათ, ისე ნაირათ ლა
პარაკობდა და მეტად სასიამოვნო იყო იმის სმენა.
მუქი ტანსაცმელი უყვარდა და ისეთი ფაქიზოთა ჰქონ-
და მორთული პლაში, რომ ერთი-ორიათ კარგათ
აჩენდა ამ პირსა.

როდესაც იტალიანებთან ომი იყო მაშინ იმან
მიიღო ჯერ ტრიტონობა შემდევ ტრიტონობა.

ზორტეზის მჭრე-მეტყველობის და მეტნიერობის
გარდა საშინელი სცენიური ნიჭიცა ჰქონდა. როდე-
საც ის გამოდიოდა სცენაზედ და კითხულობდა, ამ
დროს თვითონ გამოჩენილი ტრაგიული არტისტი
მზოპა და როსცია მიღიოდნენ, რომ იმისგან შეეს-
წავლათ კითხვა. იქვე ტრიტომთალნი აღაყაფის კარე-
ბის გვერდზედ, ერთს სკამეიკაზედ იჯდა პატრიცის
ყმაწვილი თავის მასწავლებელით; ის გართული იყო
სხვა ყმაწვილებთან ლაპარაკით, თუმცა ტანსაცმელი
დიდისა ეცა, მაგრამ ის იყო ახლათა ჰქონდა ამწვა-
ნებული წეერ-ულეაში, ისე რომ ჩვიდმეტ თექვსმე-
ტის წლისა იქნებოდა. ის იყო დაბალი ტანისა, ავად-
მყოფი, სუსტი აგებულობისა, ყვითელის პირით, შა-
ვის თმებით და შავის თვალებით რომელშიაც გამოს-
ცვილდა გონიერული მეტყველობა. მს იყო ჩვიდმე-
ტის წლის ჭაბუკი დიდ ლუკრეცია-კარ, კეთილშობილი
გვარის ჩამოაცლობისა.

ამ თორმეტის წლის ყმაწვილის მესაუბრე კა-
კასსი იყო, პატრიციანის ჩამამაელობისა, კასია კონ-
სულის შეილი და რომელმაც ისტორიაში პარველი

ადგილი დაიკავ, იმ ღროს როდესაც უკანასკნელი მდგომარეობაში იყო რომის ჩესპუბლიკა.

ლუკრეცია და კასიის ერთმანეთში ცხარი ბაა-
სი ჰქონდათ. ორი ანუ სამი წლის განმამავლობაში
იძებია დიდი გამოჩენილი მეოსანი განდებოდა. ის
ხშირად დაიარებოდა კასიის სახლში და სრულიად
დააფასა ამ ახალგაზღის მესამებრის ჭიუა, გონები-
თი განვითარება და იმისი სულგრძელობა, ისე რომ
სრულიად მიეჩია ამ ყმაწვილთან ყოფნას.

აგრეთვე კასიის თანაუგრძნობდა ლუკრეციას
სიყარულს და სიყარულს სიყარულითვე უხდიდა;
იმათ აკავშირებდა ერთ ნაირი გრძნობები და მიმ-
ზიდველობა, ორივე სიძულვარით უყურებდენ სიცოცხ-
ლეს და ერთნაირი შეხედულება ჰქონდათ ხალხზედ
და ლერთობზედ.

იქვე შორი ახლო ლუკრეცია და მასის გვერ-
დით იჯდა ფაუსტი, სულლას შეილი, გამხდარი და
ავანტურული ყმაწვილი, კვითელი პირის სახით, რომელ-
ზედაც დაჩინილი იყო ავანტურულობის ნიშანი; ქე-
რა თმებით, ლურჯი თვალებით და ბრაზიანი სახის
გამომეტყველობა ჰქონდა პირის სახეზე. იმას შეტად
ესიამოუწებოდა, როდესაც თითოთ უჩვენებდენ იმაზედ,
როგორც ბელნიერს შვილს, ბელნიერის დიკტატო-
რისას.

მანამდის ხალხი გართული იყო ლაპარაკში, გლა-
დიატორების მოსწავლენი თაქმომწონეთ ერთმანეთს ეო-
მებოდნენ თავისი ხმლებით იმ მოედანზე. ისინი ელო-
დებოდნენ კონსულებს და იმ ბატონს, რომელმაც რო-
მაელებს ღროს გასართობელი თამაში გაუმართა.

არავითარი სიმოუწება არ უგრძენია ხალხს ამ
უსისხლო ბრძოლის მოედანზედ, მაგრამ უცურად გა-
მოიღვიძეს და საერთო ტაშის კვრა ასტეხს. ამ უზარ-
გაზარ ცირკუში:—გაუმარჯოს, პომპეის!.. გაუმარჯოს
ქინი პომპეის!.. გაუმარჯოს დიდს პომპეის. ათასი
ხმა ყვიროდა!

პოპეი შავიდა ცირკუში და შესტალკების გვერდ-
ზე დაჯდა, რომელიც უცდიდენ ამ სისხლის ლერევას
ამ ქალებსაც მოსწონდათ და ესენი მოლოზნათ იყ-
ნენ აღკვეცილნი, პომპეი გაიგონა ტაშის კვრა, წა-
მოდგა თავისი ადგილიდამ და მოწიწებით ხალხს თავი
დაუკრა.

ლუდა-რეა წლისა იყო პომპეი, მაღალი ტანისა,
მძლავრი, ჰერკულესის აგებულებისა, დიდი თავი,
რომელზედაც შავი გიშერივით თმები ეყარა; დიდი
და ჩამოშვებული წარბები, რომლიდგანაც გამოიუ-
რებოდნენ შავი და დიდი თვალები, ცოტა გამომეტ-
ყველნი და თითქმის უმოძრავნი.

პომპეის სახეზედ აღმული ასდიოდა, მაგრამ ეს

ამ სახის ფორმა იმის გარეგან შეხედულების უზიდეს-
და. მაცი რომ დაპკეირებიდა იმ უმოძრაო სახეზედ
ვერაფერს ვერ იძოვიდა შესამჩნევს, მაგრამ ეს კაცი
მთელი ოცი წელიწადი, თავის აზრებით მთელს რომ-
ში პირები იყო. ხუთი წლისა იყო რომ ეომებოდა
და დაიმსახურა სულლასაგან დიდი სახელი.

მაინცა-და-მაინცომებების დიდებას, გმირობას დიდს
უურადლებას აქცევდა ხალხი, რომელიც ისხდენ ცირკ-
ში 10 ნოემბერს 675 წელსა. ოცდა-ხუთი წლისა
იყო როდესაც ის გახდა ტრიუმფატორი და დიდი
სიყარული დაიმსახურა უფელა ლეგიონებისაგან, შემ-
დეგ იმ ლეგიონებმა იმპერატორათ აღვიარეს.

შეიძლება პომპეიმ დაიმსახურა ხალხის სიყა-
რული იმ სიძულვილით, რომელიც ჰქონდა პლებებს
სულლის წინააღმდეგ, რადგანაც პლებებს არ შეე-
ლო ეს სიძულვილი გამოეთქოთ სულლის წინაშე,
ამიტომაც თაყვანს ცემდენ პომპეის და ტაშის კერით
უღვიძებდენ ამ გმირს მესხიერებას; თუმცა-კი პომპეის
შეეძლო დაემტკიცებინა სულლისთვისა, რომ იმას
არ შეუძლიან ის გმირობა, რაც პომპეისა.

პომპეის ცირკში მოსელის შემდეგ თან მოჰყუნენ
კონსულები პუბლი სარეილი და პპი კლავდი; ამ
კონსულების სამსახური პირველს იანვარს თავდე-
ბოდა, სერვილის წინ ლიქტორები მიღიოდნენ ხელ-
ში ნაჯანთ, კლავდის უკან მიზდევდენ — და ხელში
ეჭირათ ერთი კონა წევბლები შეკრული. (ეს ნიშანი
კონსულის ლირსების იყო)...

როდესაუ მოედანზე შევიდენ უფელა მაცერალნი
წარმოდგენ თავიანთ ადგილებიდამ და ამ მაღალ წარ-
მომადგენელ ჩესპუბლიკის მართველთ დაუწყეს ცქერა.

ის იყო სერვილი და პლავდი. დასხდენ თავ-
თავიანთ ადგილსა და ხალხიც თავიანთ ადგილებზედ
დაეშვენენ. პონსულების გვერდით ორი სხვა ახალი
კონსულები დასხდენ, რომელიც ენკრისტვეში კომი-
სით ამორჩეულნი იყვნენ მომავალი წლისათვის; ეს-
ნი იყვნენ მარკ ვეილი. ლეპიდ და პვინტ ლუკრეცი
კატული. პომპეიმ ძველს კონსულებს თავი დაუკრა
და იმათაც დიდის მოწიწებით მაღლობა გარდაუხა-
დეს; შემდეგ ადგა ის და მიეიდა მარკი ლეპიდის ხე-
ლის ჩამოსართმელად, რადგანაც ვალდებულად სცნობ-
და თავის თავს, და პომპეი ყოველთვის მარკ ლეპიდს
ემოქმედნა სულლის წინააღმდეგ. ლეპიდი მიეგება
დიდის სიყარულით და თაე-მოწიწებით. როგორც
ახალ-გაზდა იმპერატორსა თაყვანი სუა და პამპეიმ
ლირსეულათ, გულ-გრილათ და ამაუკრათ თავი დაუკ-
რა. კონსულების ამორჩევის ღროს, თუმცა უარს ამ-
ბობდა გლადიტორობაზედ, მაგრამ ყოველს ღონის

ძიებას ხმარობდა, რომ ლეპიდი არ ამოკრჩათ, რო-
მელიც თავის მტერათა სუნობდა და კი მარის მომხ-
რე იყო. ეს წინააღმდეგდ მოქმედება და პომპეის
მომხრება შეადგენდა, რომ ლეპიდის კანდიდატურაშ
არამც თუ აჯობა, არამც მოიპოვა უმჯობესობა
ლუტეცი კატულას კანდიდატურაზედ, რომელიც ლი-
გარნის პარტიას ემხრებოდა.

როდესაც კონსულები მოვიდნენ, მოსწავლებმა
თავიანთ ბრძოლა მოსახს და კრება გლადიატორების,
რომელთაც უნდა ებრძოლათ იმ დღეს მომზადებულ-
ნი იყენენ მოედანზედ გამოსულიყნენ, რომ ჩვეულე-
ბისამებრ თაყვანი ეცათ უმთავრესი მართველებისათვის
და მხოლოდ მოელოდნენ იმათ მაღალ ბრძანებას.
უველანი თვალ გაშტრებული უმზერავდენ ოპიდუნს,
რომლიდანაც მოელოდენ დაწყების ნიშანს, მაგრამ
კონსულები აქეთ-იქით იუქირებოდენ და თითქოს
ვიღასაც მოელოდნენ, რომლისგარაც ნების დართეას
მოელოდენ. მართლაცა ისნი მოელოდენ ლუცია
სულლასა, რომელმაც დასტოვა დიკტატორობა, მაგ-
რამ მაინც კი სრული მბანებელი იყო მთელი რო-
მის რესპუბლიკისა.

ბოლოს შეიქმნა ტაშის კვრა, ჯერ სუსტათ და
ბოლოს უფრო-და-უფრო ემატებოდა ისე, რომ ცოტა
ხნის შემდეგ უველანი აღტაცებულნი ტაშს უკრავდენ.
უველას თვალური ტრიუმფალნი ალაკაფის კარების-
კენ ჰქონდათ მიქცეული; იმავე წუთში შემო-
ვიდა ლუცია სულლა, თან მოაცილებდენ სენა-
ტორები, შეგობრები, ქვეშვრდომნი და მონები.

სულლა ორმოცდა ცხრამეტის წლის კაცი იყო;
სრული მაგარი აგებულებისა, მაღალი ტანისა და
თუ მიმავალი ცირკში ის ნელ-ნელა მიღიოდა და რო-
გორც ლონე წარმეული კაცი ბარბაცებდა, ამის მი-
ზეზი იყო განუწყვეტლივი ქეიფები და თავ-შეუ-
კავებელი ცხოვრება, რომელსაც ის განუწყვეტლივ
ეძლეოდა.

მაგრამ იმისი დადამტლავება და სისუსტე მტან-
ჯველი სენის შედეგი იყო, რომელიც პირის სახეზედ
ავადმყოფის ელფერებს და სიბერებს ბეჭედს ადებდა.

ი. ქავთელი.

(უმდეგი იქნება)



ფ ე ლ ტ რ ი

გამოსალება

მრავალოვდა დრო გამოსალების; გამოსალების...
გამოსალების უცხო წევების...

ერთობენი
უკანასკნელად გეტეგის: „მშვიდობით
სიუკარულისა აღსაქეობით,
გული გრძნობათა გამომეტშებდი.

მო, მომეკარე. კვლევაც შემეცე.

ბელავ გააგიშე ჩემი გრძნობები.

მიჩვენე ერთოც შევწად სამოთხე;

გაფანტე შენებრ შავი ფიჭები.

რომ შენი სახე იქ— შორსა მხარეს
დამავიწევებდეს სატანის არეს.

სულს ამხნევებდეს, გულს აგრილებდეს.

და სან-დისა-ხსნაც განძვინებაში,

წელულით მონებულს. უგდგანს ვნებაში

შენს ტკბილს დიმილსა მომაგრძებდეს!

ერთად ერთს გეედრი: ნუ დამიგოწებ.

შენით ტანჯული გებრალებოდე!

მშვიდობით იყავ! მხელოდ გაუწებ

სიზმარში მაინც მეჩვენებოდე!

და ვინცობა დარდს კერ გადაუზენ
გეედრი: იკიწე მაშინ სიურჩე.

როს მოკემზადო დასატოვებლად

ამა სოფლისა. მაშინ მოფრინდი,

გარდამაცალე თვალთაგან ბინდი,

გამისლები მწერ და მანუგებებლად.

რ. ადისუბნები.

მთა-ნახშირი

ამბავი, თსზ. გარმენ სილეასი

თარგმანი ფრანციულით

ლამაზი პონა საშინელი ამარტავანია, საშინე-
ლი, თუმცა იმის გამოისობით არა რომ მან იცის
თუ რა შავი დიდრონი თვალები, ფართო გაღაჭიმუ-
ლი წარბები და ლამაზი ცხვირი აქვს; ტუჩები მარ-
თალია თუ სიპატარავით ყურადღებას ვერ მიიქცევენ,
კარგ მოყვანილობით კი კაცს მიიზიდვენ, და როცა
პონა იცინის ისენი გამოაჩენ არ წყება გასაკეირელ
თეთრს კბილებს; უკან გადაერცხნილი სქელი
შავი თმით მისი ფართო შუბლი არ იფარება. დადის
პონა ნელა, აუქარებლივ, თავ მაღლა დაკავებით;
ეს ისეთ შეხედულობას აძლევს მას რომ სოფელში
ცველა «პრინცესას» ეძახის.

მაგრამ კაცმა უნდა სთქვას, რომ პონა სრულიად არ არის იმისთანა ამაყი და მიუკარებელი ვინ-მე, რომ მან პირი იქით მიიბრუნოს და ერთი თვალით მაინც არ გადახედოს თანასას როცა იგი ხანდა-ხან გვერდს გაუვლის; როცა ჰორას *) თამაშობა ერთათ შეხვდებათ ყველა ატყობს რომ პონა ამ შემთხვევაში შესამჩნევათ მხიარულია და სულ სხვა ეშით ცეკვობს. სოფლის ბიჭებმა იციან გოგოს უგულგრილობა თანასასაღმი და ამიტომაც ხშირათ გადევკიდებიან პონას, თავს მოაძეზრებენ ბიჭებდ ლაპარაკით, ისეთ ნაირ მასხრობას დაიწყებენ, რომ ქალს გააწითლებენ, მაგრამ არც ის დარჩება ხოლმე უკან ამ შემთხვევაში: ისეთ ნაირ პასუხს მისცემს, იმ გვარ მახვილიან სიტყვას სტყორცნის, რომ თავაგდებულ მასხარას სურვილს დაუკარგავს გამეოროს თავისი ლაზლანდარობა. ბევრს ძრიელ შურს თანასას ბედი; განსაკუთრებით ყველა მაშინ შენატროდნენ მის იღბალს, როცა მოელმა სოფელმა შეიტყო პონას და თანასას დანიშნა.

გამოცხადდა ომი. თანასა ჯარში უნდა წასულიყო და ამიტომაც ბიჭი დუნაისკენ გაემგზარა. პონა გულს იმაგრებდა—სხევისთვის ცრემლები არ უჩენებია, მაგრამ ჩუმათ მარტოობაში კი ბევრს სტრიჩოდა. შეელას ეცოდებოდა საწყალი გოგო, მაგრამ მანუგრებელი სიტყვა ვერავის ეთქა,—ყველამ იცოდა რომ განუსაზღვრელი უბედურება იყო პონასათვის თანასას ომში წასელა.

პონას ცდა და წადილი ახლა ის იყო რომ რაც ჯარიდგან ამბები მოდიოდენ ყველაზედ წინ მას შეეტყო; ამისათვის დაჯდებოდა სოფლის შესავალთან და ეკითხებოდა ყველა მომსელელს ჯარიდან არ ამბავი ისმისო. როცა გაიგონებდა ჯარზედ ლაპარაკს მისი გული ძალზედ სცემდა, იმ გვარათ ალელდებოდა რომ ფეხზედ დგომას ვერ სძლებდა და სრულიად მისუსტებული იქვე ქაზედ დაეშვებოდა; ძილმაც უსუსტა პონას; მთელი ღამეები არ სძინაშ და თვალწინ უდგანან საშინელი მოჩენებანი საღაც თანასა ხან მკვდარი, ხან საზარელათ დაჭრილი წარმოუდგება, მოჩენებანი მოსვენებას არ აძლევენ და მათ მოსაშორებლათ იძულებულია იქონიოს ოთახში ღამ-ღამობით გაუქრობლათ სანთელი.

თითქმის შუა ღამეს გადაცილებულია. პონას ჯერ ტანიც არ გაუხდია ისე ზის თავის საწოლზედ. შძრავთ მჯდომი ფიქრებს მისცემია; შავი ღილაპინი ჩაფიქრებული თვალები ერთ ადგილას აქვს მიბჯენილი, პაწაწინა ხელები მუხლებზედ უწყვია. არ იცის

*) რუმინების ცეკვა.

პონამ რა მშენიერებაა იგი ახლა! ზარტონას ან გილაცა დადიოდა, მაგრამ ქალს ეს ვერ უშევმინდება. მრთაშათ ფანჯარასთან მოისმა რაღაც ხმაურობა. ფიქრიდან გამოყვანილმა ქალმა ერთი იკივლა, წამოვარდა ზეზე და შეაჩერდა ფანჯარას ისე თითქო უნდოდა თვალით გაეჭრა ღამის სიბნელე და დაენახა ხმაურობის მიზეზი. ცოტა ხნის შემდეგ მოისმა; — „პონა! ჩემო ძირიფასო... ბამომხედე... მე ვარ, მე, შენი თანასა“!

პონამ იცნო ხმა; უცბათ გააღო კარი; ფეხის გადადგმასთანვე მან იგრძნო თანასას ხელების შემოხვევნა. ქალმა ხელის კერით მოიშორა ბიჭი.

— შენა ხარ თანას! რა ამბავია?

— არა ნაირათ მეკითხები პონა?.. თუ დაგავიწყდა ვინ მომცა მე ეს ბეჭედი და ეს ხატი?.. პონა ვეღლარ გავძელი უშენოთ... სიცოცხლე გამიმწარდა... მოენიდომე შემეტყო რომ შენგან არა ვარ ჯერ დავიწყებული.

— ნება მოვცეს ჯარი რომ მიგიტოვებია?

— არა.

— არა?! შენ კი აქ ხარ?.. მგ როგორაა?.. ბათავდა ომი თუ?..

— ვაი მე რომ არა!.. და ვინ იცის კიდევ როდის გათავდება! მე... მე გამოვიპარე... შენს სანახავათ... შენმა სიყვარულმა აღარ დამაყენა!..

— ჩემმა სიყვარულმა არ დაგაყენა!?—პონამ მოკლეთ და ხმა შეკავებით გადიხაჩხარა; ასამ მოგაფიქრებინა მითხარი ეგ ამბავი... ზეგონა მასიამოენებდი მავით, რომ ჩემი საქმრო შეშინებული მენახე. ჯარიდან გამოპარული? მერე არ რიგათ?.. ოოგორ მოგივიდა ეგ თავში, ა?.. რას გაჩუმებულხარ, რას?! ზემის!—გასწი... საითაც გინდა წაეთრი, გადიკარგე, ოლონდ მე ნუ დამენახვები... ჩემმა თვალებშა ამას იქით არსად დაგინახონ!...

— პონა, ეგ არის ჩემი სიყვარულის მაგიერი? პონა, დასალუპავათ მგზანი, სასიკედილო ადგილის, პონა?

— საღაც გნებას!... მაგრამ ეს კი იცოდე, არ დაგავიწყდეს, რომ პონა თავის ღელში შენ ცოლათ არ გახდება!.. ჩემს ღელში... მოვკედები და შენისთანა მხდალს ქმრათ არ დავასახელებ, იმიტომ რომ შენისთანა ქმარი საზიზლარი იქნება მხოლოდ.

— პონა, შენ სხვა შეგიყვარებია!

— არა, თანასა, არა... შენს მეტი ჯერ მე არავინ მყვარებია... რაც შენ ჯარში წახვედი იმ ღლადან მოკიდებული რა არის მოსვენება პონამ არ იცის; ღლე და ღამ სულ შენს ფიქრში ყოფილა და იმას კი ვერ წარმოიდგენდა თავის ღელში რომ მისი სიყვარუ-

ლის საგანი ყოფილიყოს უგვანო, თავს აკლავდა ვილაცა მხდალს სულ-მდაბალ არსებას... ამას, ამას ვერ წარმოიღენდა პონა თავის დღეში!

მალმა ორიეჟ ხელები მიიფარა სახეზედ; იგი ტიროდა.

— მე კი ვიმედოვნებდი სიხარულით მიღებას...
თავს შეეიფარებდი...

— მამ, მამ, დმერთო! რა საძაგლობაა! პატიოსნობაზედ ხელის აღებაა, შეცყერია ქალმა. რა პატიოსნების ახდა და თავის დამტირებაა მე რომ შენგან დანიშნული კარ! გამიგონე!... გამიგონე!.. იმ მთას, ხელავ, იმ მთას. ყოველისფერს გეფიცები, რომ ის მთა უფრო აღრე ფერფლათ იქცევა, ერთიანათ ცეცხლი სხანთქავს, სანამ პონას შენს ცოლათ ნახამ?.. გესმის?!

— მე კი, მიუგო თანასამ, მე კი გარწმუნებ, პონა, რომ დღეის შემდეგ ცოცხალს ვეღარ მნახავ!

ამ წუთში ქალი და ბიჭი პირ-და-პირ იდგნენ და შესხერებოდენ ერთმანეთს... მათი თვალები ბნელ-ში ნაპერწულებიერი ინათებოდენ.

შეცრათ, ცას წითელი შუქი გადაეკრა და არე-მარე გაანათა; განცემურებულებმა ზეთი აიხდეს და თვალწინ წარმოუდგათ განათებული მთის კალთები. სინათლე რაც ხანი გადიოდა თან-და-თან ცრცლებიდა და ბოლოს ავარდა საშინელი ალი.

მალი და ბიჭი იდგნენ გაშტერებულნი.

სოფლად შეიქმნა ძალების ყეფა, ქათმების კა-კანი; ყოველისფერი აიძრა; აქა-იქ სახლებში აღებდენ ფანჯრებს და შეშინებული სოფლელები გამორბო-დენ გარეთ და ერთი მეორეს უყვაროდა: «მთა იწ-ვის! ტყე იწვის!» მთელი სოფელი გარეთ გამოდიოდა. პონამ ერთბაშათ წავლო ბიჭს ხელი და იქით მიაგდო: „რაღას გაჩირებულხარ?!.. დაიმალე სადმე, თუ სიკელილი არ გინდა“! ამ სიტყვებით თეოთონ სწრაფლათ შევარდა სახლში, გადიკეტა კარი და გააქ-რო სანთელი. პლელვებული, გულის ძერით თვალს არ აშორებდა მიმჩენავ თანასას, რომელიც ხან-და-ხან ამოეფარებოდა რომელსამე სახლს სინათ-ლებში რომ არ დაწენახა ეისმეს. ზალულუნებული ცეცხ-ლი კი თან-და-თან მატულობდა. მეზობლებმა ბექრი უძახეს პონას გამოეხედა, დაენახა რა ამბავი ხდებოდა გარეთ, მაგრამ მას ხმაც არავისათვის გაუცია.

ამ დღის შემდეგ პონა სადღაც გაქრა; ღრო გამოშვებით თუ გამოჩნდებოდა სადმე, თორემ მიი-მალებოდა მიგდებულ აღგილას და მარტოობაში ატა-რებდა მთელ დღეებს. მისი სახე შესამჩნევათ გამოიც-ვალა; მისი ლამაზი, წინედ მუდამ მოცინარი ტუჩები, აღარ იცინოდენ; ეტყობოდა მძიმე სევდა აწვა გულს.

გაყუჩებული მეუბაობს მთელი დღე საქაშ იქაშდისას არ მიაღწევს, რომ დასუსტებული უგრძნობლად არ დაეგდება მიწაზედ; თავისუფალ დროს დგას წყლის პირას და ჩასჩერებია წყალში თავის სახეს ანა და თვალ მოუშორებლათ უყურებს ბიურევის მთას.

სოფლად ხმა გავარდა თანასას ჯარიდან დაბრუნებაზედ. ზოგიერთი ფიცულობდენ ბიჭიც ვითომ ენახოთ სინათლეში იმ ღამეს მთა რომ იწვევდა და ხმაც გაეგონათ მისი ერთათ პონას ხმასთან. როცა ამაზედ პონას დაეკითხნენ, იგი გაწითლდა, ოფლიც კი გამოასკდა შებლზედ და ეს მიუგო აკან-კალებული ხმით: — „მე მონია ყველამ უნდა იცოდეთ, რომ იმ ღამეს არც სინათლე გვქონებია სახლში, არც გარეთ გამოესულებით და ჩვენსას ყველას ეძინა!“ პონას დედამ ამას თან დაატანა თავის გაქნევით: «ამ ჩეენ სულელ ქეყანაში ვინ იცის ვის რა არ მოეჩვენებაო».

მთელ სოფელს სალაპარაკოთ ახლად შოტანილი ამბავი აქვს: აქეე, მახლობლად (ყოფილა) მომხდარა ჯარების საშინელი შეტაკება. მს ამბავი ამ შემოხვევაში პონამ ყველაზედ გვიან გაიგო; შეტყობა და სახლში შევარდნა მისგან ერთი იყო; საჩქაროთ მოისხა შალი, გამოხვია ხელსახოცში ჭადი და კიტრები და გზას დააპირა. დედის კითხვაზედ „სად მიხვალ“, მან უპასუხა: — „ჩემს მოსელამდინ, დედა, ნუ შეწუხები, მე მალე დავბრუნდები“.

ბრძოლის ველი იმოსებოდა საღამოის ბინდით, მკედრები და დაჭრილები ათასობით ეყარნენ მიწაზედ ცხენები დარბოლენენ მინდოორში და უწყალოთ სჭყლეტ-დენ მიტოვებულ მეომართ. ჯარს მახლობლად დაებანაკა. სიკელილს გადარჩენილი მეომარნი გარს შემოჯდომოდენ ცეცხლს და თბებოდენ, ყურსაც არა-ენი ათხოვებდა კვნესას და ყვირილს მინდვრიდან რომ მოისმოდა.

რაღაც ფიგურა, ქალის მსგავსი კი, გამოჩნდა მინდოორში და მიუახლოედა იმ ადგილას სადაც მარტო მკედრები ეყარნენ. უშიშრათ და-დიოდა იგი ყოველგან და სიბრალულით უკლიდა დაჭრილებს და მიწოდებდა ხან წყალს ხან ჭადი.

ამომავალმა მოვარემ გაანათა საზარელი შესახედავი მინდოორი. მალი კი დაეხეტებოდა იქითა-კეთ; ადგილას დაეშვებოდა ძირს და ყურადღებით დასჩერებოდა მგდებარე მკედარს ან დაჭრილს. მტყობოდა ვიღაცას ექცდა.

პრე-მარე ძილში იყო ჩაღრმავებული. პონას არც ახლა დაუნებებია თავი მინდოორში სიარულს. ხან-და ხან წამოიძახებდა ხოლმე: „თანას! თანას!“ პა-სუხათ მოისმოდა რაღაც მძიმე ამოხვრა; გულის

ძეგრით ძირს დაეშევებოდა, მაგრამ სხვას ნახავდა და არა მის თანასას; იგი აქ არსად ჩანს.

თენდებოდა. მოვარის სინათლე ქრებოდა.

შრო ადგილას პონამ დაინახა მიწაზედ რაღაც ბჭყერიალებდა; დაახერდა,—მიწაზედ ეგდო თითქმის სრულიად გაშიშელებული მკვდარი; მაგრათ შეკრულ ხელებში ეჭირა კისრიდან ჩამოვარდნილი პატარა ხატი; ერთ თითზედ ჰქონდა ბეჭედი. პონა უფრო ჩახერდა. „თანას!“ იკივლა ქალმა და იქვე დაეშვა უგრძნობლათ. საკოდაეთ თანასა ისეთ ნაირად იყო და-მახინჯებული რომ მისი გინაობის შეტყობა სწორეთ გასაჭირი იქნებოდა სხეისათვის. მალი გონს მოვიდა, მოიკრიბა ძალ-ლონე და მიებულა თავის ძეირფასს. საჩქაროთ მობანა მისთვის საყვარელი ეხლა კი უსი-ცოცხლო სახე; პონამ შეჰქნა მწარე ლრიალი. ტყვიას სრულიად დაეჩეჩეა ცხვირი და ორივე თვალები ამო-ეწევა. სისხლმა იწყო ხელ ახლად დღნა. პონა იმედს არ ჰქარგავდა თანასას გამობრუნებაზედ; კიდევ მო-ბანა დაჭრილობა, შეუხეია თავის კაბის ნაგლეჯებით იგი, ძალით გაუხსნა სასა და ჩაწვეთა პირში წყალი.

ცოცხალ-მკვდარმა მძიმეთ ამოისუნთქვა და შერე როცა მოესმა თავისი სახელი, ასწია ზეთ ხელი და დაუწყო სინჯვა პონას, თითქო ამით უნდა ეცნო ეინ იყო მისი მშველელი.

— ჩემი პონა! ძლიერ წაიბურიშურა თანასამ, დამაცალე სიკედილი, პონა!..

მე ამ სოფელს აღარა ეარ... დაებრმავდი!...

— არა, შეჰქივლა პონამ, არა, შენ ჩემი საქმ-რო ხარ!.. ლეთის შემწეობით მალე ქმარსაც დაგიძა-ხებ, მაგრამ ახლა კი სუ, გაჩემდი!..

შრო ერთმა და ორმა კეირამ გაიარა ამ დღის შემდეგ, რომელთ განმავლობაში პონა თანასას სა-წოლს არ მოშორებია და მის მოელას უნდებოდა, ლამე დღესთან გაუთანასწორებია.

შრო დღეს სოფელის გზაზე მიმავლელთ შეხვ-დებოდათ ორი მგზავრი. შროთ მათგანი, კაცი, ბრმა-იყო, ზედ მაზარა ესხა, გულზედ საპატიო სისხლის ჯვარი ეკიდა; ბრმას წინ მიუძლოდა ყმაწეილი ლამა-ზი ქალი. მს უკანასკნელი გოსაც კი შეხვდებოდა უკე-ლას შემდეგ სიტყვებით მიმართამდა: — „ეს გახლავთ ჩემი საქმრო, როგორც ხედავთ დამსახურებული და ვაჭ-კაცობისათვის დაჯილდოებული!.. შეხედეთ მა-გას და იცნობთ ვინც არის!“

— საკოდაეთ! ამოხერით ზედ დაუმატებდა ხოლ-მე თანასა.

თავის დღეში ახლო-მახლობლად არავის არ ქონია იმისთანა ქორწილი როგორი ქორწილიც პონას და თანასას ჰქონდათ. საიდან ვინ არ მოვიდა ახალ

ჯვარ-დაწერილების სანახავათ. ბევრს ტუჩედუ უსისუმა დობათ ლამაზი პონა—ქრისტი, საბრალოშ ბრმა ამო-ირჩიო, მაგრამ ქალი კი ბედნიერებათ სოვლიდა თა-ვის თაეს, მხიარული იყო და უკელას ამას ეუბნებო-და სიცილით: — „აბა ვის ჰყავს ჩემისთანა ქმარი, სა-ხელოვანი, დამსახურებული, — მე შემიძლია მაგით ვიმ-პარტავნო! ბრმა არის?! — არასუკრი; ლერთი მოწყა-ლეა! ჯანი და ლონე მე არ მაკლია რომ ჩვენთვის სამყოფი ვერ მოვიმუშავო მარტო!“

რაც შეეხება მთას იმ სამახსოვრო ღამეს რომ იწეოდა, ხალხმა მას «მთა-ნახშირი» დაარქვა, რადგა-ნაც იქ მოსიარულე მწყემსები და მონადირენი იტ-ყოლენ ვითომეც მათ იქ ენახათ ნახშირათ დამწვარი კლდეები.

დ. ქლდ—ილ.

ნ ა რ ე კ ი

გამოცავაზი

ზემო იმერეთში შეკრებილი სოსიგოსაგან

1

შეგნედე და შეგი იუო,
მიკედი და მეგდარი იუო;
ფესტები რო დაუჭირე—
ნაცოსარი ამოიღო.

2

თორი თორის თდენი,
თავი ქოჭის თდენი;
გამოდგება დაიძახებს:
მე კარ ქეცენის თდენი.

3

ევი-ევისა,
ფეხი მდევისა;
ხტომა ერობისა,
ხმა-ზურაბისა.

4

დავასამ დაირება,
აუშეებ და გაჩერდება.

5

თავისანა სკოპიათ,
ფეხი ტანტრაბეშიათ;

ეფლ უკანა უფასაშები,
უკან წერი ასხათ.

6

ყოველ სეში ნაქები ხარ,
სე ხარ, მაგრამ როგორ სე!
ამ სოფლიერათ უძლურო,
საიქიას სამოთხეო.

მეფისა და დედოფლისა
უფლებელ ხელის გადამხმევ.

7

ქვეუნის ჭარი ღაშარს მიდის,
შენ რას შერები კინგარათ?
—ჩახის ქვედი მიუატყვე,
გადმოვარდი ტკლიშანა.

8

თეთრი არი-თოვლივითა,
გამსვრელია ქონივითა,
ფხვიერი მიწასვითა.

9

უხნავ-უთესათ მოსული,
ზამთარს მიწაში სძინავსო.
თეთრი ჰერინგი აცვია,
თავი მიუგადს იხასთ.
დიდი კაცის ჭამაშადა,
საინებზედ ღაგლინაგსო.

10

ქოთქოთამ დაიქოთქოთა,
გარს შემოისხა შვილები;
ჩრდი არის მისი შვილები,
არც არა შვილი-შვილები.

შემლილი სიყვარულისაგან *)

დროშა 5 მოქმედ. თხზ. დონ-მანუელ ტამაისი და ბაუსისა

მეორე აქტი

ოთახი სასტუმროში; კარები, სცენის სილრმე-
შიაც მეორე, იმის იქით ეზო მოჩანს, მარჯვნივ კა-
რიდორში კიბე მიდის, ამ კარიდორის ერთს ნაწილში
კარები ალდარის ოთახში შესასვლელად. სტოლი,
სკამები.

*) იხილე “ოუტრი” 1885 წ. № 15.

სცენა 1

კაპილიონის პატრონი, მდევარი: პირველი, მეო-
რე და მესამე და რამდენიმე სხვა მუშტარი მისჯდო-
მიან სტოლს. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის სასტუმ-
როს გოგო.

1 მდევარი. სწორეთ ეს ახეა: იმაზე კარგი არაფე-
რია ქვეყანაზე, როგორც კეთილი მეფე, და ისეთი ცუ-
დიც არაფერია — როგორც ბოროტი...

ქაპილიონის ბატონი. ოლონდაც: კეთილი—
მღვთის სახეა დედა-მიწაზე მოვლენილი, ბოროტი კი
ეშმაკის სახეა.

2 მდევარი. (დაცინებით) შენ ესა სთქეი და: ხალხი
შიმშილითა სწყდება, ჩვენი მეფე კი გარდასახადში
მილიონ მარგაოდისს თხოულობს.

3 მდევარი. ფლამანდელებს ძალიან უყვართ ვა-
ტილის ფული...

1 მდევარი. მართლაც და ეს ბატონები მეტის-
მეტად ეტრიან ძალილის ოქროს; ამათ ხელები
გძელი აქვთ, სინილისი კი განიერი...

ქაპილიონის ბატონი. მეონი მარტო იმისთვის—
რომ გაუმაძლარი გამლელ-გამომლელისთვის ალაგი
დაგაცლევინონ; ამითი აიხსნება — რომ მეფები ქალა-
ქებს საკუთარი კორექტიდორები გადაყენებინა, ცა-
ხებს — ალკალები და სამიჯნო სიმაგრეებს კომენ-
დანტები.

1 მდევარი. და ყოველი ამის შემდეგ დელოფალი
თვის სიცოცხლეს ეკვიპინობაში ატარებს.

2 მდევარი. ამბობენ — დელოფალი ჭკუაზე შეიშა-
ლაო.

ქაპილიონის ბატონი. ეგლა გვაკლდა: დე-
ლოფალი ჭკუაზე შესლილი, მეფე დაუდევარი!

3 მდევარი. დონა-ხუანა რომ რითიმე ჰეგანებოდა
თავის დედას იზაბელას, იგი ვლამანდის მეფის ხელ-
ში არ ჩაგვყრიდა.

1 მდევარი. დონა-ხუანა რომ რითიმე ჰეგანებო-
და თავის დედას იზაბელას, იგი ვლამანდის მეფის
ხელში არ ჩაგვყრიდა.

2 მდევარი. არწივი იყო განსვენებული დელო-
ფალი.

ქაპილიონის ბატონი. ჰო, მეგობრებო, დელო-
ფალი იზაბელა ძალიან სათნო არსება აბ იყო, ცხა-
დია, რომ ზეცას სდომებია მისი სათნოებით შემკობა
და საუკეთესო დელოფალად წარმოგზავნა.

3 მდევარი. ამას ნამდეილს გეუბნებით, რომ უბ-
რალო მუშას ისე მიიღებდა ხოლმე როგორც გრაფს
და გერუოს.

1 მდევრანი. მართალია! მრთხელ მე თვითონ მუხლ-მოლრეკილი დავხედი იმას, როდესაც იგი სასახლილ-გან გამოდიოდა; იმან ყველაფერი მომისმინა და მართლ-მსაჯულობა გამიწია. ჩემი პატარა ბლაზიც იქა მყავდა. დედოფალი მიესაყვარლა მას და აკოცა კადეც. მას აქეთია მეც და ჩემი ტრეჭიაც იმას წმინ-დანათა ვთვლით. როდესაც მის გარდაცვალების დღე დადგება ხოლმე, მისი სულის მოსახსენებლად უკანასკნელი ჯიბის ფული მიგვაქვს საყდარში სანთლების საყიდავათ. ჩენ ყოველ წელიწადს ასე ვიქცევით და იმედია ჩენი შეილებიც და შეილი-შეილებიც ჩენს ჩას არ გადუხვევენ.

2 მდევრანი. მე თავის დღეში არ მენახა დედოფა-ლი. ერთხელ კი მახსოვს იმან ჩემს ახლო გამოიარა და მე ვერ შეეძლ თვალის გამართვა.. მე ის რაღაც წმინდანად მეჩვენა და შეხედვაც კი ვერ გავძედე.

ქაშილიონის ჰატრონი. იგი ნამდვილი მაღონა იყო...

1 მდევრანი. იმან გაგვანთავისუფლა ჩენი ესო-მრის-ტეს და მღვთის-მშობლის მტრები-მავრებისაგან.

2 მდევრანი. დედოფალმა იზაბელამ აბჯარით და ხმლით შეარაღებულმა გამოსცადა სუყველა აედრია-ნობა, გამოსცადა ომის ყველა ხითათი, მოითმინა უბედურობანი, როგორც უკანასკნელმა სალდათმა.

3 მდევრანი. იმან გაყიდა ყოველი თვესი ძეირ-ფა-სეულობა—რათა ისპანისთვის ახალი მიწები შემოე-კრობინა.

ქაშილიონის ჰატრონი. იმას უნდა უმაღლოთ ჩენ, რომ ეხლა ბატონების არ გვეშინან, იმ ბა-ტონებისა, რომელიც თავიანთ სანადირო ძალებზე უფრო ავად გვეკიდებოდენ.

1 მდევრანი. დედოფალი იზაბელას წყალობაა— რომ დღეს ჩენც ქვეყანაზე ხმა ამოგველება.

2 მდევრანი. დერთო, რა კეთილი რამ იყო! რა რიგად ზრუნავდა ჩენზე!

ქაშილიონის ჰატრონი. იმისი პირველი ზრუნვა ის იყო, რომ ხალის დღეგრძელი ჰყოლოდა.

3 მდევრანი. ამბობენ, იგი როგორც წმინდანი იმ გვარად გარდაიცვალა.

ქაშილიონის ჰატრონი. ეგ რა საკირველია, რო-დესაც იგი ცხოვრებითაც წმინდას მიემგზავსებოდა.

1 მდევრანი. ცოდოა ამისთანა დედა-კაცების სიკვ-დილი!

ქაშილიონის ჰატრონი. შენ არ იყი, რომ სიკვ-დილს ვერავინ გაექცევა?

1 მდევრანი. მე მზათ ვიყავ მის სიცოცხლისთვის შემეწირა ჩემი სიცოცხლე.

ქაშილიონის ჰატრონი. ეგ რომ შესაძლებელი

ყოფილიყო, დედოფალი ხომ საუკუნოთ ციცალი იქნებოდა.

2 მდევრანი. მართალს ამბობ შენ, ჩენც მაგრე ვფიქრობთ.

ქაშილიონის ჰატრონი. მაშ რა გვანიათ? განა ვინმე დაიზარებდა იმისთვის თავი შეეწირა? მაგრამ რაღანაც ეხლა ჩენ აღარ შეგვიძლიან მისი ხელ-ახლად დაბრუნება, თვალ-ტრემლით შეკვედროთ იგი ღმერთს, უეჭველია ჩენი კეთილი დედოფალი ზე-ცილგან შეპიშნავს ჩენს ცრემლებს და შეგვიშნარებს ჩენც.

1 მდევრანი. დაჯილდოე, უფალო, იგი სათნოე-ბისათვის... მართად ერთს შეგიძლიან ღირსეულად ყოვლის დაჯილდოება.

შევლანი. დაჯილდოე იგი, უფალო, დაჯილ-დოე.

ქაშილიონის ჰატრონი. ძარგით გვეყოფა მასზე მწუხარება, სჯობიან მისი სული შეეველროთ ღმერთს, (სუყველანი წამოღებიან იხდიან ქუდებს და რამდე-ნიმე მინუტი ჩემათ ლოცულობენ) ამინ! (სუყველანი). ამინ! (პირჯვარს იწერენ).

ქაშილიონის ჰატრონი. დაყლიოთ ეხლა.

შევლანი. ჩერა, ჩერა! (ასხამენ ღვინოს)

ქაშილიონის ჰატრონი. საუკუნოთ იყვეს ხსენება ჩენი კეთილი დედოფლისა.

შევლანი. საუკუნოთ იყვეს ხსენება მისი! (სმენ) მთსამსასეურე გოგო. (შემოვა) ვაშამი მზად გახლავთ.

1 მდევრანი. მაღლობა ღმერთს!

უგალანი. ვჭამოთ, ვჭამოთ ვაშამი! (ზოგოს ჩე-ნებით გადიან შუა კარებიდობა).

სცენა II

მაპილიონის პატრონი და ალდარა (რამდენიმე მინუტით წინ გამოდის ოთახიდგან და კიბეზე ჩამო-დის).

ალდარა. რა ამბავი იცი?

ქაშილიონის ჰატრონი. ჯერ არ დაბრუნებულა.

ალდარა. (თავისთვის) ახ! (მაღლა) ის ვლამან-დიელი რაინდი, რომელიც მუდმი ამ დროს მოდის ხოლმე?

ქაშილიონის ჰატრონი. არც ის მოსულა ჯერ.

ალდარა. მე თქეენთვის გამამიცხადებია, რომ მე მისი ნახვა არა მსურს.

ქაშილიონის ჰატრონი. სასტუმროში სიარულს მე ვერავის ვერ აუკრძალამ, მეტადრე იმისთანა მუშ-ტარს, რომელიც ბევრსა ხარჯავს. მე დიდი სიმოვ-ნებით დაეთანხმდებოდი ჩემს ბიძაშეილად ამეღვიარები-

ნეთ—მაგრამ მეშინიან ოომელიმე კუდიანმა არ გამოაშეარავოს ეს სიცრუე...

აღდარა. (ნიშანს აძლევს—რომ იგი გავიდეს) ეგ თქვენ სასტუმროში ბევრი ხანი აღარ დამედო-მება.

კარპალინის პაციენტი. (თავისთვის) ეგ კი საწ-ყენია! (გადის შუა კარებში).

ს. 6—თ— ქახა.

(გაგრძელება იქნება)

ჩართული თეატრი

ს. მშაბათს, 18 თებერვალს

ჭართული დრამატიული დასისაგან წარმადგენაზი იქნება:

I

გ ა ე რ ა

მომედია 4-ს მოქმედ., თხ. თ. 3. მრისთავისა

II

ა გ ა ზ ა გ ე ბ ი

მრთი სცენა შილერის ტრაგედიადამ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8 საათზედ

რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

განცხადებანი

იბექდება და ჩქარა გამოვა
თხ. - მოქმედებანი ისტორიული დრამა

თხ. თ. აკ. ჭართულისა

ი ტ ა მ ა რ ც ე რ ი

რადგანაც ეს დრამა დაიბეჭდება ორასი ეგზემპლარის არა უმეტეს, ამიტომ საყოველ-თაოდ ვაცხადებთ, რომ ამ თავიდევ ხელის-მოწერის მსურველს შეუძლიან მიჰმართოს «თეატრის» რედაქციას.

ფასი ათა შაური

სურათები

ჩეენი პოეტებისა და მწერლებისა

ასაკი ტერიტორია

ილის პეპელები

გ. რ. მრავალი



ციცელი
მუსიკა

გიორგი ერისთავი

სანაზი ემსუ

ჩინებულ აღექსნდროვის ქადაგზე
მხატვრობა ა. ბერიძისა

ისყიდება გრძელობის წიგნის მაღაზიაში,
მუკის ხილის უზრუნველყოფის სახლებში
და ი. საფაროების ბაკალევინი მაღაზიაში, არწ-
რუნისეულ ქარებასლაში.

გინც ათს ას. მეტს სურათის გამოთხვერს, მა-
ნის თათო სურათი 16 კაბ. დაქომიბა.

გაიხსნა ხონში, ფოჩიტის სტანციის პირ-და-პირ

გიორგის მაღაზისა ჭართულისა,

რომელშაც ისყიდება ყოველ გვარი ქართული
წიგნები, რუსული და ქართული სახელმძღვანელოები
და კანცელარიის უკეთ საჭიროებანი. ხონი. ენჯ-
нинский магазинъ Церетели.